

საქართველოს ბანკმა Commerzbank–ის ჯილდო მიიღო, როგორც „2014 წლის საუკეთესო პარტნიორი ბანკი ვაჭრობის ფინანსირების კუთხით“

თბილისი, 20 მაისი, 2014 - საქართველოს ბანკმა, საქართველოს წამყვანმა ბანკმა, განაცხადა Commerzbank–ის ჯილდოს, „2014 წლის საუკეთესო პარტნიორი ბანკი ვაჭრობის ფინანსირების კუთხით“ მიღების თაობაზე.

Commerzbank არის წამყვანი საერთაშორისო კომერციული ბანკი, მისი ფილიალები და წარმომადგენლობები მსოფლიოს 50 ქვეყანაშია განთავსებული. თავის ძირითად საქმიანობას ბანკი გერმანიასა და პოლონეთში ახორციელებს. Commerzbank-ი აფინანსებს გერმანიის მთავრობის საგარეო ვაჭრობის 30%-ს და იგი ლიდერია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების კუთხით. მსოფლიოს მასშტაბით, Commerzbank-ი 1,100 ფილიალისა და 90 საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით, ემსახურება 15 მილიონ კერძო, ბიზნეს და კორპორატიულ კლიენტებს, ასევე ინსტიტუციონალურ ინვესტორებს. Commerzbank-ი, რომელიც დაარსდა 1870 წელს, წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ძირითად საფონდო ბირჟაზე. 2014 წელს Commerzbank–ის წლიური შემოსავალი, თითქმის 9 მილიარდი ევრო იყო.

###

საკონტაქტო პირი მედიისთვის:

ხათუნა კაკაბაძე
(032) 2 444 444 *3252
(599) 206 246
khkabadze@bog.ge

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:

საქართველოს ბანკი ქვეყნის წამყვანი ბანკია, მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი 35.5%), მთლიანი სესხების (საბაზრო წილი 34.9%) და კლიენტთა დეპოზიტების (საბაზრო წილი 31.5%) მიხედვით (2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე; მოიცავს „პრივატბანკის“ საბაზრო წილსაც). საქართველოს ბანკი მის კლიენტებს სთავაზობს კორპორატიული და საცალო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის, საბროკერო, ასევე სადაზღვევო და ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ბანკი ემსახურებოდა დაახლოებით 1.5 მილიონი კლიენტის ანგარიშს, 219 სერვისცენტრის, 523 ბანკომატისა და 2,239 თვითმომსახურების ტერმინალისგან შემდგარი ქსელის, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმისა და თანამედროვე სატელეფონო ცენტრის მეშვეობით. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: www.bog.ge